მე ვკითხე: "ო, ალლაჰის შუამავალო, ვის უნდა მოვეპყრო ყველაზე კეთილშობილურად?" მიპასუხა: «შენს დედას, შემდეგ ისევ შენს დედას, შემდეგ ისევ შენს დედას, შემდეგ შენს მამას, შემდეგ – ყველაზე ახლობელს, შემდეგ კი – მასზე უფრო ახლობელს

ბაჰზ იბნ ჰაქიმმა თავისი მამიდან, ხოლო მან მისი ბაბუიდან გადმოსცა, რომ მან თქვა: «მე ვკითხე: "ო, ალლაჰის შუამავალო, ვის უნდა მოვეპყრო ყველაზე კეთილშობილურად?" მიპასუხა: «შენს დედას, შემდეგ ისევ შენს დედას, შემდეგ ისევ შენს დედას, შემდეგ შენს მამას, შემდეგ – ყველაზე ახლობელს, შემდეგ კი – მასზე უფრო ახლობელს».
[კარგი (ჰასან)] [გადმოსცა აბუ დაუდმა, ალ-თირმიზიმ და აჰმადმა]

ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განმარტა, რომ ყველაზე მეტად ვისაც ეკუთვნის კეთილშობილური მოპყრობა, სიკეთე, კარგი ურთიერთობა, თბილი თანაცხოვრება და ურთიერთკავშირი – ეს არის დედა, მან სამჯერ გაიმეორა დედის უფლება, რათა ხაზი გაესვა მის უპირატესობას ყველა სხვა ადამიანის მიმართ, გამონაკლისის გარეშე. შემდეგ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განმარტა, თუ ვის ეკუთვნის დედის შემდეგ კეთილმოქცევა: შემდეგ – მამას, შემდეგ – ყველაზე ახლო ნათესავებს, თანმიმდევრობით, ვისაც უფრო ახლოს აქვს ნათესაური კავშირი, მას უფრო მეტად ეკუთვნის შენგან სიკეთე და ურთიერთკავშირი, ვიდრე შორეულს.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/58188

النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY
لجنة الدعوة الإلكترونية
EDC E-Da'wah Committee